საქართველო, თბილისი 0103, ქუთაისი წამებულის გამზ. 1
(995 32) 2 921 921
INFO@HI.GE
WWW.HI.GE

MTPL-ისა და MPA-ის დაზღვევის სტანდარტული პირობები
MTPL-ისა და MPA-ის დაზღვევის ხელშეკრულების/პოლისის დანართი #1

1. **ტერმინთა განმარტება**

1.1. **მზღვეველი/ჩვენ** _ სს „ჰუალინგ დაზღვევა“, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ეწევა სადაზღვევო საქმიანობას (საიდენტიფიკაციო #406232214);

1.2. **დამზღვევი/თქვენ** - ფიზიკური პირი, რომელიც აფორმებს ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულებას მზღვეველთან;

1.3. **დაზღვევის საგანი/ობიექტი** - ხელშეკრულების საფუძველზე, ჩვენ მიერ გაცემულ კონკრეტულ სადაზღვევო პოლისში და დაზღვევის განაცხადში მითითებული ავტოსატრასპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად მესამე პირისთვის მიყენებული ზიანი;

1.4. **მესამე პირი (დაზარალებული)** - პირი, რომლის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან/და ქონებას მიადგა ზიანი დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად და რომელიც დაზარალებულად მიიჩნევა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზიანის მიყენების შედეგად წარმოშობილი ვალდებულებების საფუძველზე, აგრეთვე მისი მემკვიდრე (უფლებამონაცვლე/სამართალმემკვიდრე);

1.5. **ხელშეკრულება** - სადაზღვევო პოლისის და მისი დანართ(ებ)ის პირობების ერთობლიობა, რომელიც წარმოადგენს ერთიან დაზღვევის ხელშეკრულებას და რომელიც ფორმდება ჩვენსა და თქვენ შორის;

1.6. **დაზღვევის პირობები** - დაზღვევის პოლისსა და მის დანართებში მითითებული პირობები, რომლებიც განსაზღვრავს სადაზღვევო დაფარვის პირობებსა და მისი განხორციელების წესებს;

1.7. **სადაზღვევო დაფარვა** - დაზღვევის პოლისით გათვალისწინებული შემთხვევები, რომელთა დადგომისას ჩვენ ვალდებული ვართ გავცეთ სადაზღვევო ანაზღაურება დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და პირობებით;

1.8. **დაზღვევის განაცხადი** - თქვენ მიერ ელექტრონულად შევსებული დოკუმენტი, რომელშიც მითითებულია ყველა არსებითი ინფორმაცია, რაც საჭიროა კონკრეტული ავტოსატრანსპორტო საშუალების დაზღვევის მიზნებისთვის.

1.9. **სადაზღვევო პოლისი/ხელშეკრულება (შემდგომში „პოლისი“)** – დოკუმენტი, რომელსაც ფლობთ თქვენ/უფლებამოსილი მძღოლი ხელშეკრულების საფუძველზე;

1.10. **სადაზღვევო თანხა/პასუხისმგებლობის ლიმიტი** - თანხის მაქსიმალური ოდენობა, რომლის ფარგლებშიც დადგენილია დაზარალებულისათვის სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში დამდგარი სადაზღვევო შემთხვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება;

1.11. **ერთჯერადი ლიმიტი** - სადაზღვევო პოლისით/ხელშეკრულებით განსაზღვრული ქველიმიტი, რომლის გამოყენებისთანავე (მიუხედავად იმისა, აღნიშნული ქველიმიტი სრულად იქნა გახარჯული თუ არა) იგი ითვლება სრულად ამოწურულად.

1.12. **აგრეგირებული ლიმიტი** - ხელშეკრულებაში/პოლისში მითითებული თანხა, რომელიც წარმოადგენს სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში ჩვენ მიერ გასაცემი ჯამური სადაზღვევო ანაზღაურების მაქსიმუმს სადაზღვევო შემთხვევის შედეგად ყველა დაზარალებულისთვის/მესამე პირისთვის.

საქართველო, თბილისი 0103, ქუთაისი წამებულის გამზ. 1
(995 32) 2 921 921
INFO@HI.GE
WWW.HI.GE

1.13. **სადაზღვევო პრემია** - თანხა, რომელიც თქვენ უნდა გადაგვიხადოთ ჩვენ ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის საფასურად - დაზღვევის ღირებულება. პრემიის ოდენობა განისაზღვრება ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის შესაბამისი პოლისითა და ხელშეკრულებით;

1.14. **სადაზღვევო შემთხვევა** – ხელშეკრულებით/პოლისით განსაზღვრული შემთხვევა, რომლის სადაზღვევო პერიოდში დადგომისას წარმოიშვება ჩვენი ვალდებულება, გავცეთ სადაზღვევო ანაზღაურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და რომელიც აღიარებულია ჩვენ მიერ შედგენილი სადაზღვევო შემთხვევის აქტით;

1.15. **სადაზღვევო რისკი** – მოვლენა, რომელიც შეიცავს მისი დადგომის შესაძლებლობის და შემთხვევითობის ნიშნებს და რომლის გამოც ხდება დაზღვევა;

1.16. **სადაზღვევო პერიოდი** - დროის შუალედი, რომლის განმავლობაშიც დაზღვევა ძალაშია;

1.17. **ფორს-მაჟორი** - ბუნებრივი ხდომილებანი ან პოლიტიკური, სამხედრო, სამართლებრივი, შრომითი, სოციალური ან სხვა შესაბამისი გარემოება, რომლის თავიდან აცილება ან გადალახვა /ჩვენ (მხარე(ებ)ს) არ შეგვიძლია და რომელიც ჩვენ მიერ ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შესრულებას შეუძლებელს ხდის;

1.18. **სადაზღვევო შემთხვევის აქტი** - თქვენ/უფლებამოსილი მძღოლისა და ჩვენ მიერ პოლისის პირობების შესაბამისად, მხარეთა ორმხრივად შეთანხმებული და ხელმოწერილი დოკუმენტი, რომლითაც განსაზღვრულია სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა, მისი გაცემის ფორმა და წესი;

1.19. **გამომუშავებული სადაზღვევო პრემია** - სადაზღვევო პერიოდის შიგნით აღებული კონკრეტული თარიღისათვის ხელშეკრულების შესაბამისი გამომუშავებული პრემია წარმოადგენს სადაზღვევო პერიოდის შესაბამისი ჯამური სადაზღვევო პრემიის იმ ნაწილს, რა ნაწილსაც შეადგენს სადაზღვევო პერიოდის დაწყებიდან ზემოთაღნიშნულ კონკრეტულ თარიღამდე გასული დღეების რაოდენობა მთლიანი სადაზღვევო პერიოდის დღეებში გაზომილ ხანგრძლივობასთან მიმართებაში.

1.20. **გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემია** - სადაზღვევო პერიოდის შიგნით აღებული კონკრეტული თარიღისათვის ხელშეკრულების შესაბამისი გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემია წარმოადგენს სხვაობას ხელშეკრულების მთლიანი სადაზღვევო პერიოდის შესაბამის ჯამურ სადაზღვევო პრემიასა და გამომუშავებულ სადაზღვევო პრემიას შორის.

1.21. **პრეტენზიის ფორმა** - თქვენი/უფლებამოსილი მძღოლის/მესამე პირის მიერ ჩვენ მიმართ წერილობითი/ელექტრონული ფორმით გამოხატული უკმაყოფილება სადაზღვევო მომსახურების შესახებ. პრეტენზია მოიცავს, როოგრც მოთხოვნას ინფორმაციის მიწოდების/მიუწოდებლობის შესახებ, ასევე ნებისმიერ სხვა სახელშეკრულებო მოთხოვნას, რომელიც გამომდინარეობს დაზღვევის ხელშეკრულებიდან;

1.22. **საინფორმაციო ფურცელი** - სადაზღვევო პროდუქტის შეთავაზების ეტაპზე თქვენთვის მიწოდებული დოკუმენტი, რომელიც შეიცავს მითითებას სადაზღვევო პროდუქტის პირობების შესახებ;

1.23. **ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები** - დოკუმენტი, რომელიც წინ უსწრებს ხელშეკრულების ყველა სხვა დებულებას, წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მასში აღნიშნულია ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები;

1.24. **სამედიცინო ჩვენება** - შესაბამისი საექიმო საქმიანობის უფლების მქონე (შესაბამისი პროფილის) პირის მიერ სახელმწიფო თუ საერთაშორისო გაიდლაინებსა და პროტოკოლებზე

საქართველო, თბილისი 0103, ქუთაისი წამებულის გამზ. 1
(995 32) 2 921 921
INFO@HI.GE
WWW.HI.GE

დაყრდნობით პაციენტისთვის დანიშნული/გაწეული (სამედიცინო პრაქტიკაში აღიარებული და დანერგილი) მკურნალობის/კვლევის საფუძველი;

1.25. **უპირობო ფრანშიზა** - სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ზიანის ნაწილი, რომელსაც ჩვენ არ ავანაზღაურებთ. კერძოდ, ჩვენ არ ვანაზღაურებთ ზიანს, თუ მისი სიდიდე არ აღემატება ფრანშიზას, ხოლო თუ ზიანის სიდიდე მეტია ფრანშიზაზე, ჩვენ ვიხდით სხვაობას ზიანის სრულ ოდენობასა და ფრანშიზას შორის (თუ ზიანი არ აღემატება სადაზღვევო თანხას) ან სადაზღვევო თანხასა და ფრანშიზას შორის (თუ ზიანი აღემატება სადაზღვევო თანხას).

1.26. **უფლებამოსილი მძღოლ(ებ)ი** - ნებისმიერი ფიზიკური პირი 20 წლიდან 65 წლის ჩათვლით, რომელსაც გააჩნია ავტოტრანსპორტის შესაბამისი კატეგორიის მართვის უფლებამოსილება და რომლის მართლზომიერ მფლობელობაში/მართვის ქვეშ იმყოფება დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალება.

1.27. **MTPL** – დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ ექსპლუატაციისას მესამე პირის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და/ან ქონებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობის დადგომა (დანართი #2-ის 1.1. პუნქტში მითითებული დაფარვა).

1.28. **MPA** - დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების უფლებამოსილი მძღოლის და მგზავრების უბედური შემთხვევისგან დაზღვევა (დანართი #2-ის 1.2. პუნქტში მითითებული დაფარვა).

2. ხელშეკრულების საგანი:

2.1. დაზღვევის ხელშეკრულება არეგულირებს ურთიერთობებს, რომელიც წარმოიშვება ჩვენ, თქვენ/უფლებამოსილ მძღოლსა და მესამე პირსს შორის ამ ხელშეკრულებით და მისი დანართ(ებ)ით განსაზღვრული პირობების შესაბამისად;

2.2. დაზღვევის ხელშერულების და მისი დანართ(ებ)ით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, ჩვენ ვალდებული ვართ, შესაბამისი სადაზღვევო პრემიის მიღების სანაცვლოდ, სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას უზრუნველყოს დაზარალებულისთვის კონკრეტული დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა;

2.3. დაზღვევის შესახებ განაცხადი, (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარმოადგენს დაზღვევის ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

3. მხარეთა ზოგადი უფლებები და მოვალეობები:

3.1. თქვენ/უფლებამოსილი მძღოლი ვალდებული ხართ:

3.1.1. როგორც სადაზღვევო პოლისის მიღებამდე, ისე მისი მოქმედების ვადის განმავლობაში შეგვატყობინოთ თქვენ ხელთ არსებული უტყუარი ინფორმაცია, რომელსაც მნიშვნელობა აქვს სადაზღვევო რისკის სახისა და ხარისხის განსაზღვრისთვის;

3.1.2. გადაიხადოთ სადაზღვევო პრემია სადაზღვევო პოლისით/ხელშეკრულებით განსაზღვრულ ოდენობითა და ვადებში;

3.1.3. გვაცნობოთ დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სხვა სადაზღვევო კომპანიაში დაზღვევის შესახებ, ამასთან, თქვენ ვალდებული ხართ მიუთითოთ სხვა სადაზღვევო კომპანიების სახელწოდება, მათთან დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების სადაზღვევო რისკები და სადაზღვევო თანხების

საქართველო, თბილისი 0103, ქუთაისი წამებულის გამზ. 1
(995 32) 2 921 921
INFO@HI.GE
WWW.HI.GE

სიდიდე; თუ სადაზღვევო შემთხვევის მომენტში დაზღვეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე მოქმედებდა სხვა სადაზღვევო ხელშეკრულებაც ანალოგიურ რისკებზე, მაშინ ჩვენ გადავიხდით ჩვენთან გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრულ სადაზღვევო თანხასა და ყველა სადაზღვევო ხელშეკრულების საერთო თანხას შორის პროპორციულ თანხას. თქვენ/უფლებამოსილი მძღოლის მიერ იმავე ინტერესის სხვა სადაზღვევო ორგანიზაციაში დაზღვევა (ორმაგი დაზღვევა) უნდა შეთანხმდეს ჩვენთან. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ვთავისუფლდებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისაგან, ხოლო ორმაგი დაზღვევის შემთხვევაში ანაზღაურება განხორციელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 827-828-ე მუხლებით დადგენილი წესით;

3.1.4. სადაზღვევო პოლისის მისაღებად წარგვიდგინოთ ჩვენ წინამდებარე პირობებით განსაზღვრული დოკუმენტები და ინფორმაცია;

3.1.5. მიიღოთ მიზანშეწონილი და გონივრული ზომები იმ მიზეზების თავიდან ასაცილებლად, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს ზიანი;

3.1.6. დაუყოვნებლივ გვაცნობოთ ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის განაცხადში შეტანილი ნებისმიერი მონაცემის ცვლილების შესახებ;

3.1.7. სადაზღვევო პოლისში მითითებული გადახდის გრაფიკის შესაბამისად, დროულად დაფაროთ სადაზღვევო პრემია.

3.1.8. წინამდებარე ხელშეკრულების დასადებად და კონკრეტული დაზღვევის განსახორციელებლად წარმოდგენილ მონაცემებში ნებისმიერი ცვლილების შემთხვევაში არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღისა წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ შეგვატყობინოთ;

3.1.9. სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანეს 24 საათისა, გვაცნობოთ ამის შესახებ ქოლცენტრის/სატელეფონო ცენტრის მეშვეობით სადაზღვევო პოლისში მითითებულ ნომერზე, ხოლო 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში წერილობითი ფორმით გამოგვიგზავნოთ შეტყობინება სადაზღვევო შემთხვევის შესახებ;

3.1.10. დაუყოვნებლივ შეგვატყობინოთ სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით თქვენ მიერ მიღებული ნებისმიერი უწყების, შეტყობინების ან გზავნილის შესახებ;

3.1.11. დაუყოვნებლივ გვაცნობოთ ავტოსატრანსპორტო შემთხვევასთან დაკავშირებით თქვენ წინააღმდეგ აღძრული ნებისმიერი სარჩელის თაობაზე და იურიდიულ პროცედურებზე, აგრეთვე გაცხადებულ ნებისმიერ პრეტენზიაზე;

3.1.12. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას დაუყოვნებლივ აცნობოთ აღნიშნულის შესახებ სამართალდამცავ ორგანოებს;

3.1.13. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას წარმოგვიდგინოთ ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები:

ა) განცხადება სადაზღვევო შემთხვევის შესახებ;

ბ) სადაზღვევო პოლისის ორიგინალი (სადაზღვევო პერიოდში პოლისის დაკარგვის შემთხვევაში, თქვენი წერილობითი განცხადების საფუძველზე გაიცემა პოლისის დუბლიკატი, ხოლო დაკარგული პოლისი ძალადაკარგულად ითვლება და მის საფუძველზე წარმოდგენილი მოთხოვნები ანაზღაურებას არ ექვემდებარება);

გ) შესაბამის უფლებამოსილი ორგანოების მიერ ოფიციალური ფორმით გაცემული (დამოწმებული უფლებამოსილი პირის ბეჭდით და ხელმოწერით) სადაზღვევო შემთხვევის დამადასტურებელი

საქართველო, თბილისი 0103, ქუთაისი წამებულის გამზ. 1
(995 32) 2 921 921
INFO@HI.GE
WWW.HI.GE

დოკუმენტი, ორიგინალის სახით; საგზაო შემთხვევისას - ცნობა საპატრულო პოლიციიდან დადგენილი ფორმით, სადაც აღნიშნული უნდა იყოს : ავტოსაგზაო შემთხვევის ადგილი და თარიღი, ავტოსაგზაო შემთხვევის ყველა მონაწილის ვინაობა, შემთხვევის მოხდენაზე პასუხისმგებელი პირი (პირები), აგრეთვე საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებები; ასევე საგზაო შემთხვევის სქემა; საჭიროების შემთხვევაში საექსპერტო (კონკრეტული რისკიდან გამომდინარე სახანძრო და სხვა შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული) დასკვნა;

დ) ავტოსატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო (ტექპასპორტის) მოწმობის ასლი;

ე) მძღოლის მართვის მოწმობისა და პირადობის მოწმობის ასლი;

ვ) მძღოლის სიფხიზლის ცნობა;

ზ)

თ) დაზარალებულის/მესამე პირის საიდენტიფიკაციო დოკუმენტი;

ი) შეტყობინება დაზარალებული მესამე პირის (პირების) მიერ პრეტენზიის წაყენების შესახებ;

კ) დოკუმენტები სამედიცინო დაწესებულებიდან, რომელთაც დაზარალებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე კომპეტენტური ექსპერტიზის ჩატარებისა და საექსპერტო დასკვნის გაკეთების უფლება აქვთ (საავადმყოფო ფურცლის ასლი, ცნობა მკურნალობის შესახებ, საექსპერტო კომისიის დასკვნა და სხვა);

ლ) თუ დაზღვეულის გარდაცვალების გამო ან სხვა მიზეზთა გათვალისწინებით, სადაზღვევო ანაზღაურებას სხვა პირი იღებს, დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების მიღების უფლებამოსილებას, გარდაცვალების შემთხვევაში, ასეთი დოკუმენტია სამკვიდრო მოწმობა (რომელიც განსაზღვრავს მემკვიდრის წილს მამკვიდრებლის სამკვიდროში) ან სანოტარო წესით დამოწმებული განცხადება სამკვიდროს მიღების მოთხოვნის შესახებ, რომლის ძალითაც მოსარგებლე მითითებულია სამკვიდროს მმართველად და მინიჭებული აქვს სამკვიდროს მართვის/განკარგვის უფლებამოსილება,;

მ) იმ შემთხვევაში, თუ თქვენსა/უფლებამოსილ მძღოლსა და დაზარალებულს შორის მიმდინარეობს დავა მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებით - ანაზღაურების გაცემის საფუძველია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც ადასტურებს თქვენი პასუხისმგებლობის დადგომას მესამე პირთათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე, ამასთან, ანაზღაურების გაცემის საფუძველი არ არის ისეთი შემთხვევები, როდესაც თქვენ საქმის სასამართლო განხილვის ეტაპზე თავად ცნობს სარჩელს ან მის ნაწილს ჩვენთან წინასწარი წერილობითი შეთანხმების გარეშე;

3.1.14. შეასრულოთ საქართველოს კანონმდებლობით, დაზღვევის ხელშეკრულებითა და წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული სხვა შესაბამისი მოთხოვნები;

3.2. მესამე პირი ვალდებულია:

3.2.1. ჩვენი მოთხოვნის შემთხვევაში, წარგვიდგინოს ანაზღაურებისთვის დაჭირო დამატებითი დოკუმენტაცია, რომელიც თავის მხრივ შესაძლებელია შეიცავდეს პერსონალური მონაცემებს/ინფორმაციას;

3.3. თქვენ უფლებამოსილი ხართ:

3.3.1. საკუთარი ხარჯით მოითხოვოთ ექსპერტიზის ჩატარება იმ ორგანიზაციის მეშვეობით, რომელსაც აქვს საექსპერტო შეფასების უფლება;

3.3.2. მოგვმართოთ წერილობითი პრეტენზიით და მოითხოვოთ თქვენი პრეტენზიის განხილვა;

საქართველო, თბილისი 0103, ქუთაისი წამებულის გამზ. 1
(995 32) 2 921 921
INFO@HI.GE
WWW.HI.GE

3.4. მესამე პირი უფლებამოსილია:

3.4.1. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება ხელშეკრულებითა (პოლისით) და ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის პირობებით დადგენილი წესით;

3.4.2. მოგვმართოს წერილობითი პრეტენზიით და მოგვთხოვოს მისი პრეტენზიის განხილვა.

3.5. ჩვენ ვალდებული ვართ:

3.5.1. დაზღვევის დასადასტურებლად გავცეთ შესაბამისი სადაზღვევო პოლისი;

3.5.2. კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევების გარდა, არ გავამჟღავნოთ მონაცემები თქვენზე(მესამე პირზე) და თქვენ/მის ქონებრივ მდგომარეობაზე; მათ შორის პერსონალურ მონაცემები.

3.5.3. შევადგინოთ სადაზღვევო შემთხვევის აქტი და განვსაზღვროთ სადაზღვევო ანაზღაურების თანხა, ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის პირობებისა და სადაზღვევო ხელშეკრულების (პოლისის) შესაბამისად;

3.5.4. ზარალის გამომწვევი ყველა მიზეზის დადგენის, ასანაზღაურებელი თანხის ოდენობის განსაზღვრისა და სადაზღვევო შემთხვევის აქტის ხელმოწერიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადაში მოვახდინოთ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელშეკრულებით გათვალისწინებულია შესაბამისი ვადა კონკრეტული შემთხვევისათვის. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, თქვენ (მოსარგებლის) მიერ მოწოდებულ საბანკო რეკვიზიტებზე თანხის გადარიცხვის გზით.

3.5.5. ზარალის გამომწვევი ყველა გარემოების შესწავლისა და დადგენის შემდეგ სადაზღვევო ანაზღაურების გადახდაზე უარის თქმის შემთხვევაში, შეგატყობინოთ აღნიშნული ფაქტის შესახებ წერილობით, მიზეზის მითითებით;

3.5.6. თქვენი/დაზარალებულის მიერ წერილობითი პრეტენზიის დაფიქსირების შემთხვევაში უზრუნველვყოთ პრეტენზიაზე წერილობითი პასუხის გაცემა 30 (ოცდაათი) დღის ვადაში;

3.6. ჩვენ უფლებამოსილი ვართ:

3.6.1. გავაუქმოთ სადაზღვევო პოლისი და შეგთავაზოთ შეცვლილი პირობებით პოლისის მიღება, თუ შეიცვალა ავტოსატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის პირობები;

3.6.2. გავაუქმოთ სადაზღვევო პოლისი და ამის თაობაზე წერილობით შეგატყობინოთ, თუ ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის განაცხადში აღნიშნული მონაცამები არ შეესაბამება სინამდვილეს;

3.6.3. გავაგზავნოთ შესაბამისი შეკითხვები კომპეტენტურ ორგანოებში; შევიდეთ, დავათვარიელოთ ის ავტოსატრანსპორტო საშუალება/ქონება, რომელსაც დაუდგა ზარალი და განვახორციელოთ ყველანაირი ქმედება, რასაც ჩავთვლით საჭიროდ ზიანის შემცირებისათვის ან დაზიანებული ავტოსატრანსპორტო საშუალების/ქონების მდგომარეობის შესანარჩუნებლად;

3.6.4. მოვითხოვოთ ზარალის დადგომის დროს დაზღვეული ან/და დაზარალებული ავტოსატრანსპორტო საშუალების/ქონების გადატანა ან მათი შენახვა;

საქართველო, თბილისი 0103, ქუთაისი წამებულის გამზ. 1
(995 32) 2 921 921
INFO@HI.GE
WWW.HI.GE

3.6.5. ზემოაღნიშნული პირობები შეიძლება განხორციელდეს მზღვეველის მიერ ნებისმიერ დროს, მანამ, სანამ დამზღვევი წერილობით არ შეატყობინებს მას, რომ დამზღვევს აღარ აქვს პრეტენზია პოლისთან დაკავშირებით ან, თუ მხარეები წერილობით არ შეთანხმდებიან სხვაგვარად;

3.6.6. თუ თქვენ/დაზარალებული ან თქვენი (მისი) სახელით მოქმედი პირი არ შეასრულებს ჩვენ მოთხოვნებს, გაგვირთულებს ან ხელს შეგვშლის დაზღვევის ხელშეკრულებით (პოლისით) განსაზღვრული უფლებამოსილების ან ჩვენი საქმიანობის განხორციელებაში, ჩვენ უფლებამოსილი ვართ მოვშალოთ წინამდებარე ხელშეკრულება და მოგთხოვოთ თქვენ/დაზარალებულს მიყენებული ზიანის სრულად ანაზღაურება;

3.6.7. შევადგინოს ავტოსატრანსპორტო საშუალების/ქონების აღდგენა/შეკეთების ღირებულების კალკულაცია (ნუსხა), დაზიანების ხარისხიდან გამომდინარე, ხოლო თქვენ/დაზარალებულის/მოსარგებლის მიერ აღნიშნული შეფასების შედგენისას გადავხედოთ და დავაკორექტიროთ ფასები ბაზარზე არსებული ფასებიდან გამომდინარე.

3.6.8. <u>არ გავცეთ სადაზღვევო ანაზღაურება თქვენ/მძღოლის/მესამ პირის მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის პირობებით გათვალისწინებულ იმ ვალდებულებათა შეუსრულებლობისას, რაც აუცილებელია ანაზღაურების გასაცემად;</u>

3.6.9. მოვახდინოთ ანაზღაურების გადავადება იმ შემთხვევაში თუ:

ა) ტარდება დამოუკიდებელი ექსპერტიზა სადაზღვევო შემთხვევის გამომწვევი მიზეზების, გარემოებების და ზარალის მოცულობის დასადგენად. ამასთან, სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის ვადა იზრდება ექსპერტიზისათვის საჭირო დროის პერიოდით;

ბ) არსებობს საფუძვლიანი ეჭვი მესამე პირის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების მიღების უფლებამოსილებაში. სადაზღვევო ანაზღაურება არ გადაიხდება, ვიდრე არ იქნება წარმოდგენილი შესაბამისი მტკიცებულებები;

გ) შსს (შინაგან საქმეთა) ორგანოების მიერ დაწყებულია გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე დამზღვევის/მოსარგებლის მიმართ - გამოძიების დასრულებამდე;

3.6.10. მივიღოთ და განვიხილოთ თქვენი განაცხადი ზიანის დადგომის შესახებ; ზიანის შესახებ განაცხადისა და თანდართული მასალების მიღებისას, თუ მასალები არასაკმარისია და ვერ ხდება ზარალის იდენტიფიცირება ან ზარალის ოდენობის დადგენა, მოგთხოვოთ თავად დააზუსტოთ და მოიძიოთ, ავტოსატრასპორტო საშუალების/ქონების განადგურების ან დაზიანების გამომწვევი მიზეზების და გარემოებების შესახებ დამატებითი ინფორმაცია;

3.6.11. მოგანიჭოთ შეღავათები ან/და გაგათავისუფლოთ ვალდებულებისაგან, თუნდაც ამას არ ითვალისწინებდეს ან უგულვებელყოფდეს წინამდებარე პირობები. სადაზღვევო პოლისით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს მხარეთა განსხვავებული ან/და დამატებითი უფლება–მოვალეობებიც;

3.6.12. მოვთხოვოთ მესამე პირს დაზიანებული (განადაგურებული) ავტოსატრანსპორტო საშუალების/ქონების შენახვა და დაცვა მისივე ხარჯით;

3.6.13. არ გავცეთ სადაზღვევო ანაზღაურება თქვენ/მძღოლის/მესამე პირის მიერ (ან მათი უფლებამოსილი წარმომადგენლის) სადაზღვევო შემთხვევის დადგომის ფაქტის და/ან ანაზღაურების მიღებისათვის აუცილებელი დოკუმენტ(ებ)ის გაყალბების, ასევე, ყალბი ინფორმაციის წარმოდგენის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში. ამასთან, ყოველი ასეთი ფაქტის

საქართველო, თბილისი 0103, ქუთაისი წამებულის გამზ. 1
(995 32) 2 921 921
INFO@HI.GE
WWW.HI.GE

აღმოჩენის შემთხვევაში, საჯარიმო სანქციის სახით, მოვთხოვოთ შესაბამის პირს 5,000.00 (ხუთი ათასი) ლარის გადახდა და ამავდროულად შევწყვიტოთ დაზღვევა, ხოლო თუ ანაზღაურება უკვე გაცემულია, მოვითხოვოთ ჩვენ მიერ გაცემული ანაზღაურების სრულად დაბრუნება, პირგასამტეხლოს მოთხოვნა არ გვართმევს უფლებას მოვითხოვოთ ზიანის ანაზღაურება;

3.6.14. არ ავანაზღაუროთ ისეთი შემთხვევებით გამოწვეული ხარჯები, რომელიც არ არის გათვალისწინებული დაზღვევის ხელშეკრულებით და მისი დანართ(ებ)ით განსაზღვრული დაზღვევის პირობებით და/ან ხვდება გამონაკლისთა ნუსხაში;

3.6.15. თქვენ მიერ სადაზღვეო პრემიის გადახდის ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, მოგთხოვოთ, როგორც სადაზღვევო პრემია სრულად, ასევე, პირგასამტეხლო/ჯარიმა და მიუღებელი შემოსავალი;

3.6.16. შევწყვიტოთ წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება და შემოგთავაზოთ ახალი ხელშეკრულების დადება შეცვლილი სახით იმ შემთხვევაში, თუ შეიცვალა ავტოსატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციის პირობები;

3.6.17. საჭიროების შემთხვევაში საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით გავასაჩივროთ თქვენ მიმართ მესამე პირის მოთხოვნის (სარჩელის) დასაბუთებულობა, სიდიდე და მისი არსებობის საფუძვლიანობა;

3.6.18. არ ავანაზღაუროთ წარმოშობილი ზიანის ოდენობაზე მეტი თანხა იმ შემთხვევაშიც კი, თუ სადაზღვევო თანხა/ლიმიტი სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისთავის აღემატება საბაზრო ღირებულებას;

3.6.19. თუ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის მომენტისათვის თქვენ გერიცხებათ რაიმე სახის დავალიანება, ანაზღაურების თანხიდან გამოვქვითოთ შესაბამის დავალიანების თანხა;

3.6.20. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ჩვენ უფლება გვაქვს გადავამოწმოთ დაზღვეული ავტომობილის ტექნიკური მახასიათებლები და VIN კოდი (საიდენტიფიკაციო ნომერი), ხოლო იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული ავტომობილი იმყოფება ძებნაში და/ან ავტომობილის მახასიათებლები არ ემთხვევა მისი VIN კოდის (საიდენტიფიკაციო ნომრის) შესაბამის მახასიათებლებს (რომელსაც მოვიპოვებთ სატრანსპორტო საშუალების მწარმოებლის ან სხვა კომპეტენტური წყაროს მეშვეობით), არ ავანაზღაუროთ ზარალი;

4. სადაზღვევო თანხები, სადაზღვევო პრემია, ფრანშიზა. ანგარიშსწორების წესი

4.1. წლიური სადაზღვევო ტარიფი, პრემია და ფრანშიზა დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალებისთვის განისაზღვრება შესაბამისი სადაზღვევო პოლისით და ხელშეკრულებით; ზარალის სიდიდისა და სადაზღვევო პერიოდის მიუხედავად, ჩვენი პასუხისმგებლობა არ აღემატება:

ა) მთლიან სადაზღვევო თანხას;

ბ) სადაზღვევო პოლისში/ხელშეკრულებაში მითითებული ნებისმიერი პასუხისმგებლობის ლიმიტს/ქველიმიტს;

საქართველო, თბილისი 0103, ქუთაისი წამებულის გამზ. 1
(995 32) 2 921 921
INFO@HI.GE
WWW.HI.GE

4.2. პოლისი ძალაში შედის პირველი სადაზღვევო პრემიის გადახდისას. პირველი პრემიის დროულად გადახდამდე ჩვენ თავისუფალი ვართ ნაკისრი მოვალეობისაგან. დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმების დროს თქვენ ვალდებული ხართ გადაიხადოთ სადაზღვევო პრემია სადაზღვევო პოლისში/ხელშეკრულებაში მითითებული წესით და პირობით. იმ შემთხვევაში, თუ პრემია არ ან/და ნაწილობრივ იქნება გადახდილი, დაზღვევა არ შევა ძალაში;

4.3. განვადებით ანგარიშსწორების შემთხვევაში, თქვენ მიერ მორიგი შესატანის (პრემიის) გადაუხდელობისას ჩვენ უფლებამოსილი ვართ ხელშეკრულებით გათვალისწინებული კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით განგისაზღვროთ პრემიის გადახდის ორკვირიანი დამატებითი ვადა, ხოლო ამ ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში, დამატებითი ვადის განსაზღვრის შესახებ შეტყობინების მიღებიდან ერთ თვეში ცალმხრივად, შევწყვიტოთ დაზღვევის ხელშეკრულება. ამასთან, თუ დამატებით 2 კვირიანი ვადის გასვლის შემდგომ ადგილი ექნება სადაზღვევო შემთხვევას და გადახდა არ იქნება განხორციელებული, ჩვენ ვთავისუფლდებით ანაზღაურების მოვალეობისაგან.

4.4. მორიგი სადაზღვევო შესატანის დადგენილი პირობებითა და დადგენილ ვადებში გადაუხდელობის გამო ჩვენ უფლებამოსილი ვართ დაგაკისროთ პირგასამტეხლო გადაუხდელი თანხის 0.1%, ყველა ვადაგადაცილებულ დღეზე, არაუმეტეს პოლისით განსაზღვრული ჯამური/წლიური სადაზღვევო პრემიისა;

5. ჩვენ არ ვართ პასუხისმგებელი (გამონაკლისები):

5.1. შემთხვევაზე, რომლის დადგომის დროს დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალება არ გამოიყენებოდა იმ მიზნით, რომელიც მითითებულია ან აღნიშნული იყო დაზღვევის განაცხადში;

5.2. შემთხვევაზე, რომელიც შედეგად მოყვა გასაღების ავტომანქანაში დატოვებას, გასაღების ისეთი პირისთვის გადაცემას, რომელსაც არ ჰქონდა მართვის მოწმობა, ასევე, ნებისმიერი დაცვის, პარკირების ან მსგავსი სამსახურისთვის გადაცემას;

5.3. მუხრუჭების მექანიკურ ან ელქტრონულ წუნზე ან ამით გამოწვეულ ავტომანქანის დაზიანებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა თქვენთვის წინასწარ არ იყო ცნობილი აღნიშნულის შესახებ;

5.4. უბედურ შემთხვევაზე, დანაკარგზე ან დაზიანებაზე, რომლის ხდომილების დროს დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალება იმყოფებოდა დაზიანებულ, მართვისთვის გამოუსადეგარ მდგომარეობაში;

5.5. წინამდებარე ხელშეკრულებისა და სადაზღვევო პოლისში აღნიშნულის გარდა რომელიმე სხვა რისკზე;

6. დაზღვევის მოქმედების ვადები

6.1. დაზღვევის ვადა აღინიშნება პოლისში/ხელშეკრულებაში. დაზღვევა იწყება პოლისის გაცემის დღის 24 საათიდან და სრულდება პოლისში განსაზღვრული მოქმედების ვადის ბოლო დღის 24 საათზე (თუ კონკრეტულ პოლისსა და ხელშეკრულებაში სხვა რამ არ არის მითითებული);

6.2. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაზღვევის შეწყვეტის საფუძველი შეიძლება გახდეს, ასევე:

ა) ჩვენს მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულება ანუ შესაბამისი პასუხისმგებლობის/ანაზღაურების ლიმიტის სრული ამოწურვა, თუ შესაბამისი პრემია სრულად არის გადახდილი;

ბ) მეორე მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობა;
გ) მხარეთა წინასწარი წერილობითი შეთანხმება;
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.
6.3. დაზღვევის ხელშეკრულებაზე თქვენს მიერ ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვამდე უარის გაცხადების შემთხვევაში ან თქვენს მიერ ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის სურვილის დაფიქსირების შემთხვევაში ან თუ ჩვენს მიერ ამ ხელშეკრულების შეწყვეტა განპირობებულია თქვენს მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობით/არაჯეროვანი შესრულებით, ჩვენთვის სადაზღვევო პრემიის გადახდის საკითხი შემდეგნაირად რეგულირდება: თქვენ გიბრუნდებათ გამოუმუშავებელი პრემიის გადახდილი ნაწილი, მაგრამ დაზღვევის ერთი თვისთვის გადახდილი გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემია არ დაექვემდებარება თქვენთვის უკან დაბრუნებას. ამასთან, ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, გამომუშავებული სადაზღვევო პრემია თქვენს მიერ გადახდას ექვემდებარება ნებისმიერ შემთხვევაში. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების შეწყვეტამდე ჩვენ გაცემული გვაქვს ან უნდა გავცეთ სადაზღვევო ანაზღაურება სადაზღვევო შემთხვევის დადგომის გამო, თქვნს მიერ გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემია ექვემდებარება ანაზაურებას ნებისმიერ შემთხვევაში. ნებისმიერი მიზეზით დაზღვევის შეწყვეტისას ჩვენს მიერ პოლისის მოქმედების პერიოდში ავტოსატრანსპორტო საშუალებასთან მიმართებაში ნებისმიერი ზარალის ანაზღაურების შემთხვევაში, გამოუმუშავებელი პრემია დაბრუნებას არ ექვემდებარება, ხოლო სადაზღვევო პრემიის განვადებით გადახდისას - გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემია ექვემდებარება თქვენს მიერ სრულად დაფარვას. იმ შემთხვევაში, თუ პრემია იხდება განვადებით, და ხელშეკრულება შეწყდა/წყდება ვადაზე ადრე (და ამავდროულად, სადაზღვევო ანაზღაურება არ ყოფილა გაცემული ან არ უნდა გაიცეს), თქვენ წარმოგეშვებათ გამომუშავებული პრემიის სრულად გადახდის და ასევე, გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემიის 1 თვის ოდენობით გადახდის ვალდებულება. ამასთან, თქვენს მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის სურვილი დაფიქსირებული უნდა იყოს შეეწყვეტამდე 1 (ერთი) თვით ადრე.

7. დაზღვევა მესამე პირთა სასარგებლოდ

7.1. თქვენ შეიძლება შეიძინოთ დაზღვევის პოლისი მესამე პირის სასარგებლოდ;
7.2. დაზღვევის პოლისის გაფორმება მესამე პირის სახელზე არ გათავისუფლებთ წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებისაგან;
7.3. მესამე პირის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების მოთხოვნისას, ჩვენ უფლება გვაქვს მოვითხოვოთ მოსარგებლისაგან/მესამე პირისგან/დაზარალებულისგან დაზღვევის პირობებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება, თქვენზე დაკისრებული იმ მოვალეობების ჩათვლით, რომელიც თქვენ არ შეასრულეთ მოსარგებლის/მესამე პირის/დაზარალებულის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების მოთხოვნისას და/ან მოთხოვნამდე;

8. ფორს – მაჟორული გარემოება

8.1. ფორს-მაჟორის შემთხვევაში მხარეები ვთავისუფლდებით წინამდებარე პირობების საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შესრულებისაგან და შესაბამისად აქედან გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან. ჩვენ უფლებამოსილი ვართ არ ავანაზღაუროთ ზიანი, რომელიც გამოწვეულია აღნიშნული გარემოების დადგომის შედეგად.;
8.2. მხარე, რომლისთვისაც ფორს-მაჟორის გამო შეუძლებელი გახდა ვალდებულებების შესრულება, ვალდებულია ფორს-მაჟორის დადგომიდან ან ფორს-მაჟორის შეტყობიდან არაუგვიანეს 2

სამუშაო დღისა აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ. შეტყობინებაში მითითებული ფორს-მაჟორის ფაქტი, შემდგომში, საჭიროების შემთხვევაში, უნდა დადასტურდეს შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტით;

8.3. თუ ფორს-მაჟორი ერთ თვეზე მეტ ხანს გრძელდება, ან მის გამო დაზღვევის აღსრულების დაყოვნებამ მხარ(ეებ)ის ინტერესის დაკარგვა გამოიწვია, მაშინ მხარეები ვთანხმდებით დაზღვევის გაგრძელების ან შეწყვეტის შესახებ;

9. დავა და ზიანის ანაზღაურება

9.1. თქვენ ვალდებული ხართ უპირობოდ და სრულად აგვინაზღაუროთ თქვენი ქმედებით - ვალდებულებათა შეუსრულებლობით, არასრული/არაჯეროვანი შესრულებით, არაკეთილსინდისიერი ან/და გაჭიანურებული შესრულებით მიყენებული ზიანი (მიუღებელი სარგებელის ჩათვლით) - საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

9.2. მხარეთა შორის წამოჭრილი ნებისმიერი დავა წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმებით. შეუთანხმლებლობის შემთხვევაში დავას განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთან, ჩვენ სასარგებლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება მიექცევა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

10. კონფიდენციალურობა

10.1. მხარეთა მიერ ურთიერთთანამშრომლობის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას და არ დაიშვება წინამდებარე ხელშეკრულების პირობების გაცნობა მესამე პირთათვის, მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე. ასევე მხარეებმა უნდა უზრუნველყონ ხელშეკრულების შესრულებისათვის და ამ ხელშეკრულების ფარგლებში გაცემული ნებისმიერი კორესპონდენციისა და სხვა საქმიანი დოკუმენტაციის მესამე პირთა ხელყოფისა და გაცნობისაგან დაცვა, გარდა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა;

10.2. მხარეთა ეს მოვალეობა ძალაშია წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის და/ან მოქმედების ვადის დასრულების შემდგომაც;

10.3. წინამდებარე პირობების 10.1. და 10.2. პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. კომუნიკაცია მხარეებს შორის

11.1. მხარეთა შორის ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. მხარისათვის გათვალისწინებული წერილობითი შეტყობინება მას შეიძლება მიეწოდოს პირადად ან გაეგზავნოს კურიერის (მათ შორის, საერთაშორისო კურიერის) ან საფოსტო გზავნილის (მათ შორის, დაზღვეული წერილის) საშუალებით. ოპერატიულობის მიზნით და ქვემოთ მოცემული დებულებების გათვალისწინებით, დასაშვებია მეორე მხარისათვის შეტყობინების მიწოდება ელექტრონული ფოსტის ან სატელეფონო მობილური ოპერატორების სმს (მოკლე ტექსტური შეტყობინების) შეტყობინების ფორმითაც.

11.2. შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს თუ შეტყობინების მიღება დადასტურებულია ადრესატის ან შესაბამისი სატელეკომუნიკაციო პროვაიდერის მიერ (მათ შორის, ელექტრონული დოკუმენტით, ქვითრით, შეტყობინების შესაბამისი სხვა საშუალებით და ა.შ.).

თუ შეტყობინების მიღება არ არის დადასტურებული ადრესატის მიერ, ნებისმიერი ასეთი შეტყობინება მიიჩნევა სათანადო წესის შესაბამისად გაგზავნილად და მიღებულად:

11.2.1. კურიერის ან დაზღვეული საფოსტო გზავნილის მეშვეობით წერილობითი შეტყობინების ან დეპეშის გაგზავნის შემთხვევაში მხარის კანცელარიაში შეტყობინების დარეგისტრირების მომდევნო საბანკო დღეს;

11.2.2. ფაქსის, ტელექსის, ელექტრონული ფოსტის, მოკლე ტექსტური შეტყობინების ან/და სხვა ელექტრონული საშუალებით გაგზავნის შემთხვევაში მეორე მხარისთვის შესაბამისი შეტყობინების გაგზავნის თარიღიდან;

11.2.3. შეტყობინება მიღებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ შეტყობინების გამგზავნ მხარეს შეტყობინება დაუბრუნდება გაგზავნილ მისამართზე/საკონტაქტო მონაცემებზე შეტყობინების ადრესატის ადგილსამყოფელის არარსებობის გამო, ადრესატი უარს განაცხადებს შეტყობინების მიღებაზე, თავს აარიდებს მის მიღებას ან მზღვეველს მიაწოდებს არასრულ/არასწორ მისამართს/საკონტაქტო ინფორმაციას.

11.3. პირობებთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია, შეტყობინება, შენიშვნა ან პრეტენზია გაიგზავნება სატელეფონო მობილური ოპერატორების სმს (მოკლე ტექსტური შეტყობინების) შეტყობინების გზით ან ელ.ფოსტის მეშვეობით დამზღვევის განაცხადში/პოლისში მითითებულ მობილურის ნომერზე ან ელ.ფოსტის, რაზეც დამზღვევი ხელშეკრულებაზე ხელმოწერით აცხადებს თანხმობას.

11.4. თქვენ ვალდებული ხართ დაუყოვნებლივ წერილობით გვაცნობოთ პოლისში (განაცხადში) მითითებულ რეკვიზიტებში (ადგილსამყოფელი, ტელეფონი, ელ.ფოსტა) ცვლილებების შესახებ. ამასთან, აუცილებელია, ახალი რეკვიზიტების სრული და ზუსტი მითითება. ამ წესის დაუცველობის შემთხვევაში, თქვენ ვერ მიუთითებთ შეტყობინების მიუღებლობის მიზეზად მისამართების შეცვლის ფაქტზე და თქვენ შეტყობინება ჩაგეთვლებათ მიღებულად წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული ყველა შედეგით;

12. თქვენი განცხადებები და გარანტიები

12.1. დაზღვევის ხელშეკრულების ხელმოწერით თქვენ ადასტურებთ და გარანტიას იძლევით, რომ:

12.1.1. დაზღვევის ხელშეკრულება თქვენ მიერ დადებულია გონივრული განსჯის შედეგად;

12.1.2. თქვენ ჩვენგან მიღებული გაქვთ ყველა აუცილებელი ინფორმაცია და განმარტება ამ ხელშეკრულების პირობებთან დაკავშირებით;

12.1.3. წინამდებარე ხელშეკრულება არ შეიცავს თქვენთვის ბუნდოვან პირობებს ან უჩვეულო ვალდებულებებს და/ან ჩანაწერს;

12.1.4. თქვენ გაქვთ სრული უფლებამოსილება ამ ხელშეკრულების დასადებად და აღსასრულებლად;

12.1.5. თქვენ წარმოადგენთ სრული მოცულობით ქმედუნარიან პირს;

12.1.6. თქვენი პირადი და პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია (მათ შორის, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია), რომელსაც თქვენ მოგვაწვდით და რომელიც აუცილებელია ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლებებისა და მოვალეობების შესასრულებლად, ჩვენ დავამუშაოთ და გამოვიყენოთ საკუთარი შეხედულებისამებრ;

12.1.7. იმ შემთხვევაში, თუ ეს ხელშეკრულება იდება მესამე პირთა (დაზღვეულთა) სასარგებლოდ, თქვენ მოპოვებული გაქვთ ყველა აუცილებელი თანხმობა ასეთი მესამე პირ/ებ/ისაგან: (ა) ხელშეკრულების დადებასა და მის/მათ სასარგებლოდ დაზღვევის განხორციელებაზე; (ბ) იმის

საქართველო, თბილისი 0103, ქუთაისი წამებულის გამზ. 1
(995 32) 2 921 921
INFO@HI.GE
WWW.HI.GE

თაობაზე, რომ ჩვენ სრულად და შეუზღუდავად ვისარგებლებთ დაზღვევის ხელშეკრულებით მინიჭებული ნებისმიერი უფლებამოსილებით;

12.1.8. იმ შემთხვევაში, თუ ეს ხელშეკრულება იდება მესამე პირთა სასარგებლოდ, თქვენ ვალდებული ხართ ზედმიწევნით სრულყოფილად აუხსნათ და განუმარტოთ მას/მათ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა პირობა და ასევე, ყველა ის ვალდებულება და პასუხისმგებლობა, რომელიც შესაძლოა, დაეკისროთ მათგან გამომდინარე.

12.2. თქვენ გაცნობიერებული გაქვთ, რომ წინამდებარე ხელშეკრულება ფორმდება ზემოაღნიშნულ განცხადებებსა და გარანტიებზე დაყრდნობით;

13. მომხმარებელთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფა

13.1. მომხმარებელი უფლებამოსილია, ნებისმიერი პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში, მიმართოს მზღვეველის მომხმარებელთა უფლებების დაცვის განყოფილებას ზეპირად, წერილობით ან ხელშეკრულებაში მითითებული ელექტრონული ფოსტის მეშვეობით (მზღვეველის ელექტრონული ფოსტა დაფიქსირებულია კონკრეტულ დაზღვევის ხელშეკრულებაში). პრეტენზიის ფორმის შევსება/ჩამოტვირთვა შესაძლებელია მზღვეველის ვებ.გვერდიდან - https://www.hi.ge/pretenziisporma. ასევე, დაზღვევის ხელშეკრულებას დანართი #3-ის სახით ერთვის პრეტენზიის ფორმა, რომელიც განთავსებულია დაზღვევის პირობებთან ერთად შემდეგ ელ.მისამართზე: https://www.hi.ge/mtpldampapirobebi.

13.2. პრეტენზიის ფორმა საერთოა, როგორც მატერიალურად, ისე ელექტრონული ფოსტის საშუალებით წარმოსადგენი პრეტენზიისთვის, თუმცა ეს არ გამორიცხავს მზღვეველის მხრიდან ელექტრონული ფოსტის საშუალებით, ფორმის დაუცველად გამოგზავნილი პრეტენზიის განხილვას.

13.3. ჩვენ ვალდებული ვართ თქვენგან პრეტენზიის მიღებიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადაში უზურნველვყოთ თქვენთვის წერილობითი დასაბუთებული და არგუმენტირებული პასუხის გაცემა გამოხატულ პრეტენზიაზე. იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული პრეტენზიის განხილვისთვის საჭიროა დამატებითი დოკუმენტების წარმოადგენა (რაზეც ჩვენ ხელი არ მიგვიწვდება), ჩვენ წერილობით მოგმართავთ აღნიშნული დოკუმენტების წარმოდგენის მიზნით;

14. დასკვნითი დებულებები

14.1. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შედგენილია წერილობითი ფორმით და ხელმოწერილია მხარეების მიერ;

14.2. ხელშეკრულების რომელიმე მუხლის ან პუნქტის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას, თუ იგი დაიდებოდა ასეთი ბათილი მუხლის/პუნქტის გარეშეც;

14.3. შემთხვევებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით, მხარეები ვიხელმძღვანელებთ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;

14.4. ჩვენ საზედამხედველო ორგანოს წარმოადგენს სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური (მის: თბილისი, ლევან მიქელაძის 3).

(დამოწმებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით).

საქართველო, თბილისი 0103, ქეთევან წამებულის გამზ. 1
(995 32) 2 921 921
INFO@HI.GE
WWW.HI.GE